გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 108

2024 წლის 12 ივლისი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდში, ახლადმოწყობილი ცენტრალური გზის დასაწყისში მე-2 ქუჩაზე (მე-2 და მე-20 ქუჩების კვეთაზე) ამკრძალავი საგზაო ნიშნის განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია ტინისხიდის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელის მოხსენებითი ბარათი, რომლითაც მოთხოვნილია გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდში ახლადმოწყობილ ცენტრალურ გზაზე მძიმე წონიანი სატვირთოების გადაადგილების ამკრძალავი საგზაო ნიშნის განთავსება.

აღნიშნული საკითხი შეისწავლა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ, შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტი გორის რაიონული სამმართველოსთან ერთად და მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდში, ახლადმოწყობილი ცენტრალური გზის დასაწყისში მე-2 ქუჩაზე (მე-2 და მე-20 ქუჩების კვეთაზე) დამონტაჟდეს საგზაო ამკრძალავი ნიშანი 3.4-„სატვირთო მოძრაობა აკრძალულია“.

მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხო, შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდში, ახლადმოწყობილი ცენტრალური გზის დასაწყისში მე-2 ქუჩაზე (მე-2 და მე-20 ქუჩების კვეთაზე) დამონტაჟდეს საგზაო ამკრძალავი ნიშანი 3.4-„სატვირთო მოძრაობა აკრძალულია“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

1. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდში, ახლადმოწყობილი ცენტრალური გზის დასაწყისში მე-2 ქუჩაზე (მე-2 და მე-20 ქუჩების კვეთაზე) დამონტაჟდეს საგზაო ამკრძალავი ნიშანი 3.4-„სატვირთო მოძრაობა აკრძალულია“.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე